



## ქართველთა ლუკმა, პაბლას, ქართულ ლუკმად გადაიქცა

ქართველ მორაგბეთაგან გამარჯვებებს დაჩვენებები, თითოეულ ნაფორხილებას მტკივნეულად რომ აღვიქვამთ, გასაკვირი არც არის. ასეთი ნაფორხილება ჩვენს შვიდკაცა ნაკრებს გუშინ ჰქონდა ევროპული სერიის ეტაპზე, სოპოტში რომ გაიმართა.

ჩვენმა მორაგბეებმა ჯგუფიდან ნახევარფინალში ვერ გააღწიეს და ამის გამო გული ნაკლებად დაგვწყდებოდა, რომელიმე დიდ გუნდთან რომ წაგებოდით. ყველაზე სამწუხარო სწორად ის არის, ჯგუფში მეორეობა ჰოლანდიამ რომ წაგვართვა — იმ ჰოლანდიამ, წესით და რიგით, ერთ ლუკმად რომ უნდა გვყოფნოდა.

მაგრამ რაც არის, არის და ახლა, ევროპის თასის ფინალურ ეტაპზე თამაშის დაბეჭება თუ გვსურს, სერიის თბილისური ეტაპის მოგება გვმართებს. თბილისური ეტაპი კი 7-8 ივნისს ჩატარდება.

## ბინდ ესტონეთი და ბინდ პორტუგალია: შანსი არ არის! პეტარ სებრტი კითხულობს: სახელი სჯობს თუ მუშაობა?

საქართველოს ნაკრების დროებით მწვრთნელ პეტარ სებრტს ნაკრების მწვრთნელობის ამბიციის მოთოკვა მოუწევს. ხორვატის ამასნი-ნანდელი ნათქვამი გეხსომებათ, ჩემი მწვრთნელად დატოვებისთვის ვიბრძობლებო. ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა უჩა უგულავამ კი გუშინ გვითხრა, ესტონეთ-პორტუგალიასთან შედეგის მიუხედავად, ერო-

ვნული გუნდის მწვრთნელი მაინც სხვა იქნებაო. ხოლო ვინ იქნება ეს სხვა, კვლავაც უცნობია და ყველაფერი იქითკენ მიდის, ევროპის ჩემპიონატის დასრულებამდე ამ კითხვას პასუხი ვერ გავცემა.

გუშინ კი პეტარ სებრტმა პირველი ტალინური ვარჯიში ჩაატარა — ესტონეთს ხვალ ვხვდებით — ვარჯიშის მერე კი ჩვენს კითხვებსაც უპასუხა.

— რა შეგიძლიათ თქვით, მოთამაშეების მოტივირებულობაზე ესტონეთთან მატჩის წინ?

— თქვენ ნახეთ ჩვენი ვარჯიშები თბილისში. მე ყოველთვის ვაკრიტიკებდი იმ ფეხბურთელებს, რომლებიც ბოლომდე არ იხარჯებოდნენ გუნდისთვის და ქვეყნისთვის. უფიქრობთ, ყველა დაიღალა ამდენი წაგებით. ესტონეთში წამოსვლამდე აფხაზეთის ნაკრებს ვეთამაშეთ, მაგრამ ის მატჩი სათუბილო თარის მიმდებნა და მეტოქედაც ჩვენივე ძმები გვყავდა, ესტონეთთან თამაში კი ბევრად უფრო მნიშვნელოვანია.

— როგორ აფასებთ თქვენს შანსს, ნაკრების მწვრთნელად ამ ორი მატჩის მერეც რომ დარჩეთ?

— ჩემთვის გასაგები და მისაღებია, ფედერაცია ახალი მწვრთნელის ძებნას რომ აგრძელებს. მაგრამ იმასაც ყველა ხედავს, თუ როგორი მონღომებით ვმუშაობ ეს ორი წელია. ვიცი, რომ არ მაქვს ისეთი სახელი, როგორც კლაუს ტოპმლიერს და ალენ ჟირესს ჰქონდათ. ახლა ფედერაციის გადასაწყვეტია, როგორი მწვრთნელი სჭირდება ნაკრებს და რა არის მნიშვნელოვანი: სახელი თუ მუშაობა. წინასწარ ვერ ვიტყვი, მოუვებით თუ არა ესტონეთს, მაგრამ თუ ბიჭებმა ისეთივე მონღომებით ითამაშეს, როგორც ვარჯიშებზე ინდომებენ, ესტონეთის ნამდვილად არ შემეშინდება.

— კახა კალაძის არყოფნაში ვინ იქნება ნაკრების კაპიტანი?

— კაპიტანის ვინაობის გამოცხადება ჯერ ფეხბურთელებისთვის მინდა, ამიტომ ახლა ვერ ვიპასუხებთ.



## უიღბლობა და ალბათი კიდევ რაღაღას სხვა თუკი აბვისტომ მაისი არ დაადასტურა...



„სპარტაკი“ უმაღლესში იდგილი შეინარჩუნა

„ზესტაფონი“ იყო, საქართველოს თასი მიჯრით სამჯერ რომ წააგო და მეოთხე ცდაზედა იზეიმა გამარჯვება.


„ბათუმიც“ ეგრე იყო თავის დროზე, მიჯრით სამი ფინალი რომ წააგო და მეოთხე ჯერზე მოიგო თასი.

არა, გაგრელები საქართველოს თასის ფინალში ჯერჯერობით არ გასულან, ჯერ უმაღლეს ლიგაშიც ვერ შეუბიჯებიათ, მაგრამ ფინალის ტოლფასი თამაშების წაგებებით საქართველოში ბადალი არ მოეძებნებათ, „ზესტაფონს“ და „ბათუმს“ ვაირეკორდი მოუხსნეს...

ამ უქმეებზე ბოლნისში სეზონის ბოლო თამაში გაიმართა — ცხინვალის „სპარტაკი“ უმაღლეს ლიგაში დარჩენას ლამობდა, „გაგრა“ კი პირველი ლიგიდან აღზევებას. ცხინვალელებმა მოიგეს. გაგრელთათვის კი ბოლო სამ წელიწადში ეს მეოთხე წაგებული გადასასვლელი თამაში იყო.

როგორ ვითხრათ, რა უნდა იყოს ამის მიზეზი, მაგრამ მიჯრით ოთხჯერ განცდილ ასეთ სიმწარეს მხოლოდ უიღბლობას, ალბათ, ვერ დავაბრალებთ.

ამ მატჩით მომდევნო სეზონისთვის უმაღლესი ლიგის შემადგენლობა საბოლოოდ გაირკვა. ახალ სეზონში, რომელიც აგვისტოში დაიწყება, უმაღლესში 12 გუნდი ითამაშებს და ბარემ ჩამოვთვალოთ: „დინამო“, „ვიტ ჯორჯია“, „ზესტაფონი“, „ოლიმპი“, „ამერი“, „მესხეთი“, „სიონი“, „ბორჯომი“, „მგლები“, „ლოკო-მოტივი“, „მალაროელი“ და „სპარტაკი“. ოღონდ, აგვისტო რომ მოვა და თუ აღმოჩნდა, რომ ჩემპიონატში მონაწილე გუნდების რაოდენობა და ვინაობა, აქ ჩამოთვლილს არ დაემთხვა, ჩვენ ნუ დაგვძრასავთ. ეს იმის ნიშანი იქნება, რომ ვიღაც გაკოტრდა, ან ფეხბურთის ფედერაციამ უმაღლეს ლიგაში გუნდების სპორტული პრინციპით მოხვედრის წესს გადაუცვალა...



პაპიაშვილი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობიდან ესტონეთ-პორტუგალიაში პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი და ვიცე-პრეზიდენტი გიორგი ბერიძე, რაც შეეხება გენერალურ მდივან შპს "საქართველო", გუშინ რომ დაუწყებდნენ, სტამბოლში გახლდათ, საიდანაც ავსტრალიაში გაფრინდა და სიდნეიში ფიფას კონგრესს დაესწრა, რომელიც 28-30 მაისს გაიმართება. უგულავას ნაკრების მთავარ მწვრთნელზეც ვესაუბრეთ, თუმცა ახალი და დიდად მნიშვნელოვანი ვერაფერი შევტიყვეთ — მაინცდამაინც არ ვიჩქარებთ, 20 აგვისტომდე მაინც ალარ გვაქვს თამაშიო...

### სეგრტის არ დავბოვებით უჩა უზულაზა: ჯერ ავსტრალია, მერე კი სანაპრობო განდიდატები

— ფიფას კონგრესზე მთავარი თემა რა იქნება? — უმთავრესად, კლუბებში ლეგიონერების შეზღუდვაზე იქნება მსჯელობა. გეცოდინებთ, ფიფას ლეგიონერებზე 6+5 სისტემა სურს, თუმცა ეს პრობლემებთანაა დაკავშირებული. სიდნეიში 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ სამუშაოებზეც გაამაზვილებენ ყურადღებას. — ახლა კი ქართულ ამბებზე: როგორც ვიცით, თემურ ქეცბაიას უნდა შეხვედროდით... — ქეცბაია ვნახე, თუმცა მწვრთნელობაზე არ ვვისაუბრია. იენისისთვის გადავღეთ ეს თემა, იმ დროს ნოდარ ახალკაციც თბილისში იქნება და თემურთან შეხვედრაც ან კვიპროსზე შედგება, ან თბილისში. — ისე, ჩანს, აქცენტი აშკარად უცხოელ მწვრთნელზე კეთდება, ფოლკერ ფინკსთან საუბარიც ამის დასტურია და ქეცბაია კიდევ განიხილება კანდიდატად? — კანდიდატად განიხილება: პეტარ სეგრტი ხომ დროებით წვრთნის ნაკრებს... — სეგრტი რომ კარგი შედეგი აჩვენოს ესტონეთთან და პორტუგალიასთან ამხანაგურ მატჩებში, მისი დარჩენა მაინც გამორიცხულია? — დიახ. სეგრტი მხოლოდ ამ ორ მატჩში გაუძღვება ეროვნულ გუნდს... — ფინკსთან კიდევ როდის გექნება შეხვედრა? — 20 ივნისამდე მაინცდამაინც არ ვიჩქარებთ. თან, ევროპის ჩემპიონატია, შესაძლოა, ახალი ვარიანტები გამოვიჩინდეს. დრო საკმაოა, პორტუგალიის მერე ნაკრებს 20 აგვისტომდე ალარ აქვს თამაში და აჩქარება არ არის აუცილებელი. რაც შეეხება ფინკს, მან სურვილი გამოთქვა საქართველოს ნაკრებში მუშაობაზე, მაგრამ ერთ-ერთი შევიცარიულ ტელეკომპანიასთან აქვს კონტრაქტი და ევროპის ჩემპიონატი უნდა გააშუქოს. ფინკს და ქეცბაიაც კანდიდატები არიან, თუმცა სხვა ვარიანტებიც გვაქვს, რომლებსაც ვერაფერობით ვერ გავახმაურებთ.

ილია ნათიშვილი

# სეგრტის ახალი წყობა და სანაპრობო განდიდატები ტალინში კობიაშვილის ჩაბრუნება

საქართველოს ეროვნული ნაკრები უკვე ტალინშია და ესტონეთთან ამხანაგური მატჩისთვის ემზადება. პეტარ სეგრტს 27 მაისის მატჩისთვის გამოძახებული 24-ივე ფეხბურთელი მწვრთნელის ჰაიკს, ერთადერთი, გიორგი ბერიძეს აწუხებს საზარდული და გუშინ ინდივიდუალურად ივარჯიშა, თუმცა ექიმების თქმით, ტრავმა საშიში არ უნდა იყოს. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის უფროს სანდრო ცნობილას ცნობით, ესტონელები ქართულ დელეგაციას კარგად დახვდნენ, პირობებიც მშვენიერია და გუნდშიც ბრწყინვალე განწყობაა. გუშინ ნაკრებს საკმაოდ ნაყოფიერად ივარჯიშა და ბოლოს ორმხრივი თამაშიც გააჩადა, რამაც სეგრტი თურმე კმაყოფილი დატოვა. აქამდე ვარჯიშებისგან განსხვავებით, ფეხბურთელები უფრო იოლად ხვდებიან ხორვატი მწვრთნელის მოთხოვნებს. სეგრტის ხელმძღვანელობით პირველად ივარჯიშა შალკელმა ლევან კობიაშვილმა, ვინც პირდაპირ გელზენკორხენიდან ჩააკითხა ნაკრებს. და ერთიც: როგორც შევტიყვეთ, გუშინ ტალინში ამინდიც კარგი ყოფილა და ამ მხრივაც არ შეშლია ხელი ჩვენს ეროვნულ გუნდს.



პაპიაშვილი

პაპიაშვილი

## ავსტრალია ისევ გაიტანა

ევროპა ევრო 2008-სთვის ემზადება და ჩემპიონატები აქა-იქ თუ მიმდინარეობს. ამის გამო, „ბეურ კონტინენტს“ ქართველები თითოეულ ჩამოსათვლელადღა რომ შემორჩენენ... გასულ უქმეებზე დანიის ჩემპიონატიც დასრულდა და გიორგი ფოფხაძის „ვიბორგმა“ დაასრულა ელიტაში თამაში. ბოლო ტურში „ვიბორგი“ სტუმრად 1:2 დამარცხდა „ესბიერგთან“. ჩვენებური განაცხადში კი იყო, მაგრამ არ უთამაშა. ქართული გოლი გავიდა რუსეთის პირველი დივიზიონში — მიხეილ აშვეთია მორიგი ბურთი გაიტანა და მანჩესტერის „ანჯის“ (3:1) სტუმრად „ნოსტასთან“ მოაგებინა. გიორგი ნავალოვსკი და რევაზ ბარბაქაძე ნაკრებში არიან გამოძახებული, დანარჩენი ქართველები კი ომარ თეთრადის განკარგულებაში იყვნენ. „ანჯიმ“ ამ მოგებით პირველ ადგილზე აინაცვლა. ნაკრებშია გამოძახებული ზურაბ მენუშაშვილიც, თუმცა მისმა „ვენტსპილსმა“ ისედაც მოუგო (3:0) სტუმრად „პლანზმას“. სამაგიეროდ, ქართველებით ასევე სტუმრად მოიგო „სკონტომ“. რიგელებმა 1:0 სძლიეს „ოლიმპსს“. ვლადიმერ დვალიშვილი სხვა მა-

ტირებისგან განსხვავებით, ინერტული იყო და 64-ე წუთზე შეცვალეს. 9 წუთი საიმედოდ ითამაშა დაცვაში დაელოდა გამეზარდაშვილმა. ზაალ ელიავას კი სათამაშო დრო ისევ არ მისცეს. თამაზ პერტისას „დინაბურგი“ შინ განადგურდა „დაუგავასთან“ — 0:3. ლიტვის ჩემპიონატში ისევ მოიგო „კაუნასმა“, ამჯერად 2:0 „ჟაღვირისთან“. ნუკრი მანჩესტერ 90 წუთი იბურთავა და საგოლე პასიც მიითვალა, გივი კვარაცხელია მე-60 წუთზე შეცვალეს, აკაკი ხუბუტია კი ტრავმირებულია.

მიხეილ შორგოლიანი

# რუსეთმა ბოსნიასთან წაივარჯიშა

ევროპის 2009 წლის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში საქართველოს ნაკრების მეტოქე რუსეთის ახალგაზრდულმა გუნდმა ბოსნიასთან ამხანაგური მატჩი გამართა და 3:0 იმარჯვა. რუსებმა გოლები მატჩის 29-ე, 44-ე და 82-ე წუთებზე გაიტანეს — თავი გამოიჩინეს რეზკომ, კასაევმა და სტარკოვმა. რუსეთის ახალგაზრდული ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში მე-2 ადგილზეა. ბორის სტუკალოვის შეგირდებმა ერთადერთი მარცხი (0:2) ქართველებთან 20 ნოემბერს, თბილისში იწვნიეს. შეგახსენებთ, რომ რუსეთ — საქართველოს მეორე მატჩი 5 სექტემბერს რუსეთში ჩატარდება, თუმცა იქამდე, 20 აგვისტოს, სტუკალოვის გუნდი ჯგუფის ლიდერ ესპანეთს უმასპინძლებს. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ჯგუფში მე-4 ად-

გილზეა და რუსეთში მოგების შემთხვევაში პლეი ოფში გასვლის შანსი ეძლევა. ბოსნიასთან რუსებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: ჯანაევი, იატჩენკო (ცუკანოვი 46), ნაბაბკინი, კურიაშოვი (სტროვი 46), ივანოვი, ტარანოვი, კასაევი (ჟილიაევი 46), რეზკო, ტარასოვი (სტარკოვი 46), დ. კომბაროვი, სმილოვი (სალუგინი 46).

პაპიაშვილი

# კლავუს ტოპიოლერის განდობა



პაპიაშვილი

საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელი, გერმანელი კლავუს ტოპიოლერი, შესაძლოა, განის ეროვნულ ნაკრებს ჩაუდგეს სათავეში. GHANASOCCERNET-ის ცნობით, რამდენიმე დღეში ტოპი განის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობას კონტრაქტის პირობების განსახილველად შეხვდება. განის ნაკრების ყოფილმა თავკაცმა, ფრანგმა კლოდ ლერუამ ხელშეკრულების გაგრძელებაზე უარი პირადი მიზეზების გამო განაცხადა და სწორედ ამიტომაც ეძებენ აფრიკელები ნაკრების ახალ მთავარ მწვრთნელს... ტოპიოლერი ჩვენს ეროვნულ გუნდში 2006 წლის თებერვლიდან 2008 წლის მაისამდე მუშაობდა და ევრო 2008-ის შესარჩევ ჯგუფში ოდენ მე-6 ადგილზე გაიყვანა. შეგახსენებთ: ცოტა ხნის წინ ტოპიოლერს ზაგრების „დინამო“ ეპატიებოდა, თუმცა იქ საქართველოს ნაკრების მწვრთნელობის ექსპანდიდატი, ხორვატი ბრანკო ივანკოვიჩი დაინიშნა...

პაპიაშვილი




კობა ნაყოფია

### ალბათ მაინც სიონი: გაჯიფი ბოლნისში?

**ინტერტოტოს** თასზე საქართველოდან, ალბათ, ბოლნისის „სიონი“ გავა.  
საქმე ისაა, რომ რუსთავის „ოლიმპიკა“ უარი თქვა ამ ტურნირში თამაშზე. თუმცა „სიონის“ ამბავიც არ არის ბოლომდე გადაწყვეტილი, რაკილა ამჟამად კლუბს თანხა არ მოეძებნება და ელოდებიან ბოლნისის რაიონის დეპუტატ კობა ნაყოფიას პასუხს — დააფინანსებს თუ არა ტურნირზე მონაწილეობისთვის გუნდს.  
ეს საკითხი დღეს-ხვალ გაირკვევა...  
აქვე ვიტყვი, რომ ქართული კლუბის მეტოქე პირველ ეტაპზე ლუქსემბურგული „ეტცელა“ იქნება, მეორეზე კი — გაჯი გაჯიევის გაჯი-რონილი რუსული „სატურნი“.

### ილია ნანობაშვილი ესაა თოვლი ზაფხულში?! ტრაპატონი სამყაროში ბაბრუზა

**მეორე** ჩემპიონატის წინ სა-ნაკრებო დღეებია და გუნდებიც ამ შესაძლებლობას იყენებენ — ზოგი ფინალური ეტაპისთვის ემზადება, ზოგიც — მომავალი შესარჩევისთვის.  
მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე საქართველოს ნაკრების თანაგვრელებმა ირლანდიამ ახალ მწვრთნელ ჯოვანი ტრაპატონის ხელში პირველი მატრი გამართა და შინ !:1 ეთამაშა სერბეთს.  
ანგარიში სტუმარმა მარკო პანტელიმ 75-ე წუთზე გახსნა, „სამყარებმა“ კი ბოლო წუთზე ენდი კეოგის დარტყმით უპასუხეს და იტალიელი სპეციალისტი სასტარტო სირცხვილისგან იხსნეს.  
თუ ევროპულ საინფორმაციო საშუალებებს დაუჯერებთ, ირლანდიის ნაკრები სათამაშო სტილით საკუთარ თავს არ ჰგავდა, ხოლო ირლანდიის საფეხბურთო ასოციაცი-



საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაცია მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა წალენჯიხის „სქურის“ ყოფილი ფეხბურთელი და ეროვნული კატეგორიის ვეტერანი მსაჯი **ალექსანდრე აბრალავა** და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს

# პირველივე პარჯიშუა მიხვდი, რომ... მიხვილ ხუციშვილი: ზაფხულ თუ ღამრჩები, ჯერ არ მიცი

ჩემპიონი და საუკეთესო ბომბარდირი — მეტი რაღა უნდა ინატროს ფეხბურთელმა ერთ სეზონში... თბილისის „დინამოს“ 10 ნომერ მიხვილ ხუციშვილზე ვერ იტყვი, ახალგაზრდა და პერსპექტიულია, მთელი კარიერა წინ აქვსო. „ხუცი“ 28 წლისაა, მაგრამ განაბევრი მოთამაშეა ისეთი, ამ ასაკში პირველად რომ გამოეცხებიანათ ეროვნულ ნაკრებში? „პირველივე ვარჯიშზე მიხვდი, რომ ესტონეთსა და პორტუგალიაში ნამსვლელთა სიაში ვერ მოხვდებოდი“ — ნალვლიანმა გვითხრა ხუციშვილმა, ვისაც გუშინ ველაპარაკეთ და ამ სიტყვების თქმის საბაბზეც ვკითხეთ. თუმცა ჯერ „დინამოსა“ და განვილილ სეზონზე...



მურაზ დოლიძის ფოტო

— შარშანწინდელ სეზონში „დინამოს“ ძირითადში იშვიათად ხვდებოდი და, შესაბამისად, ვერც გოლებით გამოირჩეოდი. რა გარდატეხა მოხდა მას შემდეგ?  
— მთავარი, რაც მოხდა, მწვრთნელი შედგა. „დინამოში“ პირველ წელს ნაკლები სათამაშო დრო მიქონდა, მაგრამ მაღლობა დუშან უპრინს — ძირითადს შემჩვენია და მეც გავუმართლე. სულ ესაა პასუხი...  
— და კარიერაში საუკეთესო სეზონიც ჩაატარე. პირადად შენც ასე მიიჩნევ?  
— დახ. ჩემი გუნდი ჩემპიონი გახდა, მე კი — ბომბარდირი. უდავოდ, საუკეთესო სეზონი იყო.  
— ორ პოზიციაზე ითამაშე: თავდასხმელად და ნახევარმცველად. შენთვის იდეალური რომელია?  
— უკანაწევული ფორვარდობა ყველაზე კარგად გამომდის.  
— იმ 16 გოლიდან, რომელიც ამ სეზონში გაიტანე, ყველაზე მნიშვნელოვანი და დასამაზსოვრებელი რომელი იყო?  
— ალბათ, მაინც „ამერთან“ და „ზესტაფონთან“ პირველი წრის მატრიებში. ზესტაფონელებთან მოგების შემდეგ ხომ პირველ ადგილზე გადავედი. ვფიქრობ, „დინამოსთვის“ ყველაზე საკვანძო თამაში სწორედ ის იყო.  
— და მაინც, საკმაოდ გაგიძნელდათ ჩემპიონობა...  
— კარგი მეტოქეები გყავდა. 10-ქულიანი სხვაობით მოვიგეთ ჩემპიონატი, მაგრამ გეთანხმებით, იყო პერიოდი, როცა მღეერები ის-ის იყო, დაგვეწვოდნენ. ალბათ, ტრაგედია იქნებოდა, „დინამო“ კიდევ რომ ვერ გამხდარიყო ჩემპიონი — სამი წელი იყო გასული ბოლო ჩემპიონობიდან...  
— საქართველოს ჩემპიონობა კარგია, მაგრამ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპებზე თუ შეუძლია „დინამოს“ ასე თუ ისე დირსეული თამაში? ოღონდ, რეალუ-

რად თუ ხედავ ამის საფუძველს...  
— ამ მომენტში მაგაზე ლაპარაკი ძნელია. ჩემი აზრით, გასულ სეზონში „დინამო“ დაყენებული გუნდი იყო — საკუთარი ხელწერა გააჩნდა, მაგრამ წავიდა დუშან უპრინი, რამდენიმე ფეხბურთელს და მათ შორის მეც, კონტრაქტი დაგვიმთავრდა. რა ვიცი, თუ „დინამომ“ შეინარჩუნა ბირთვი, ღირსეული თამაში შეგვიძლია, თუ არა და, უკეთესი ფეხბურთელები უნდა მოვიდნენ. ეს უკვე კლუბის ხელმძღვანელობის გადასაწყვეტია.  
— შენ რას აპირებ? გინდა „დინამოში“ დარჩენა თუ უცხოურ ვარიანტებზე ფიქრობ?  
— არ დავმალავ, საკმაოდ სერიოზული გუნდები არიან ჩემით დაინტერესებულნი — კვიპროსიდან, უკრაინიდან, რუსეთიდან და საბერძნეთიდან. აზერბაიჯანის გუნდიცაა სიაში, მაგრამ ამაზე არ ვფიქრობ. დაჯერები თუ არა „დინამოში“? 10 ივნისს იკრიბება გუნდი და იქამდე, ალბათ, გადაწყდება. კრება უნდა გვეკონდეს და ვნახოთ, რა მოხდება. „დინამოს“ ხელმძღვანელობას სურს ჩემი დატოვება და მართალი ვითხრათ, მეც მინდა დარჩენა... როცა სამშობლოში ხარ და საყვარელ გუნდში თამაშობ, ეს სულ სხვაა... ამიტომ, თუ „დინამოში“ ჩემით დაინტერესებული უცხოური გუნდების ნახევარი პირობები მაინც იქნება, ალბათ, დარჩენა მომიხდება.  
— უპრინზე კიდევ გკითხავ: მის მუშაობაში რა იყო მთავარი, რაც გუნდში მოიტანა?  
— პირველ რიგში, დისციპლინა. როდესაც უპრინი მოვიდა, „დინამო“ შექმნილი თუ შექმნილი აღგებულ იყო და იმევე სეზონში მეორეზე გავიდით. მხოლოდ ერთი ქულით ჩამოვრჩით „ოლიმპს“ წლეულს კი ჩემპიონები გავხდით. შედეგი ყველაფერზე ლაპარაკობს... წელანაც ვთქვი, უპრინმა გუნდი, რასაც ჰქ-

ვია, დააყენა, თავისი სათამაშო სახე მისცა.  
— რამდენიმე წლის წინ აზერბაიჯანში თამაშობდი. როგორ შეადარებდი იქაურ ჩემპიონატს ჩვენსას?  
— მე იმ პერიოდში ვიყავი აზერბაიჯანში, როდესაც მათი ქვეყნის პრეზიდენტმა ბიზნესმენებს საფეხბურთო კლუბების მიხედვით დააუალა. გადასახადები მოუხსნა და არ გადავაჭარბებ, ბიზნესმენები იხვეწებოდნენ, ერთმანეთს კონკურენციას უწევდნენ, რათა რომელიმე კლუბი შეეძინათ — თითო კლუბზე ათი ბიზნესმენი მოდიოდა. ჩვენთან კი ამის დრო ვერ დადგა. ძნელია, ფეხბურთელს 100 და 200 ლარზე თამაში მოსთხოვო — ის იძულებულია, ფეხბურთის გარდა, სხვა საქმესაც მოჰკიდოს ხელი. დარწმუნებული ვარ, საქართველოში რომ აზერბაიჯანის დარი პირობები იყოს, ძალიან კარგი ჩემპიონატი გვექნებოდა. აზერბაიჯანელი ფეხბურთელები ნიჭით ათჯერ ჩამორჩებიან ქართველებს, შედარებაც არ შეიძლება...  
— დაბოლოს: ეროვნულ ნაკრებში პირველად გამოვიცხეხე. რა გრძნობა იყო?  
— ცხადია, ძალიან გამიხარდა, თუმცა რა ვიცი, 35-40 კაცში მოხვედრას თუ გამოცხება ჰქვია... ისე, ეროვნულ ნაკრებში ვარჯიში სულაც არაა ძნელი. ძნელი იქ მოხვედრათ...  
— ესტონეთსა და პორტუგალიაში რომ არ წავიყვანეს, გული დაგწყვდებოდა...  
— გული ვის არ დასწყვდებოდა, მაგრამ ნაკრებში პირველივე ვარჯიშზე მიხვდი, რომ საბოლოო სიაში ვერ მოხვდებოდი.  
— პირველივე ვარჯიშზე როგორ მიხვდი?  
— მეონი, ყველა ფეხბურთელი გრძნობს, მწვრთნელი როგორი თვალთ უყურებს...  
**ილია ნანობაშვილი**

# 3 კლასი ოფი

გოლნისი. 24 მაისი. 16.30 საათი. თ. სტადიონი. 1 000 მაყურებელი

## სპარტაკი 1:0 გაგრა

10 ღონღაძე (20)

სპარტაკი: ქვიციანი, გ. ქორიძე, ხაჭაბერაძე, ქეშელაშვილი, მამუკაშვილი, გოგონია, თარხნიშვილი (ლ. დათუნაშვილი 82), ძარია (კუპრეიშვილი 58), ბახტურიძე, გ. ხიდაშელი (ტყეშელაშვილი 90), მ. ღონღაძე

გაგრა: ბათიაშვილი, ქაჯაია (აბაშიძე 78), ქვიციანი, თოთაძე, ჩარგიშვილი, შარვაშიძე, ფილია (კორიძე 55), ზ. დათუნაშვილი, ბ. ყიფიანი (ხელაძე 67), ძაგანია

გაგრაშიწინაპე: კვანტალიანი (38), თარხნიშვილი (43), ზ. დათუნაშვილი (73), კუპრეიშვილი (80), ხელაძე (88), ღონღაძე (89)

მსაჯეები: დ. ხარტიანიშვილი, გ. ჩიგოგაძე, ლ. მიქელაძე, ლ. სილაგავა

დამკვირვებელი: ა. შალაგერიძე, დამსწრე: ბ. მჭედლიშვილი



მამუკა ღონღაძის (მარცხნივ) გოლმა „სპარტაკი“ უმაღლეს ლიგაში დატოვა

## გაგრა უმაღლესში მეოთხედ ჩაიჭრა

### ნუკრი ღონღაძე ბოლნისიდან

ამ მატჩით ქართული საფეხბურთო სეზონი დასრულდა და ბოლო კითხვასაც გაეცა პასუხი — ცხინვალის „სპარტაკი“ მომავალ სეზონშიც უმაღლეს ლიგაში ითამაშებს, „გაგრას“ კი ისევ პირველლიგელობა მოუწევს. „გაგრა“ ზედიზედ მეოთხედ დამარცხდა გადამამაშებებში და აქედან ორჯერ ცხინვალელებთან... საწყისი წუთები თანაბარ ბრძოლაში გაილია, მერე კი „სპარტაკის“ უპირატესობა გამოიკვეთა. მე-15 წუთზე პირველი ხიფათი შეიქმნა — ირაკლი ძარია ორი მცვე-

ლი ჩამოიცილა და ხელსაყრელ პოზიციაზეც აღმოჩნდა, თუმცა კარს ვერ დაუმიზნა. მალევე მარჯვენა ფრთაზე კარგად გაისარჯა მამუკა ღონღაძე და საჯარიმოშიც ჩააწოდა ბურთი. იქ გიორგი ხიდაშელმა ყველას დაასწრო, თუმც მისი თავური ზურაბ ბათიაშვილმა მოიგერია. მე-20 წუთზე კი მომწიფებული გოლიც გავიდა: „გაგრას“ ხელოვნური თამაშკარე ჩაუფლავდა, თორნიკე თარხნიშვილმა ნუკრი გოგონია მოძებნა, მან ღონღაძეს გადააწოდა, „სპარტაკის“ თავდამსხმელმა ფინტით მეკარე და მცველი მოატყუა და მარცხენა ფეხით ცარიელ კარში გაიტანა — 1:0

ახალგაზრდა გაცრელებს შეტევაში არაფერი გამოსდოდათ, ცხინვალელებს კი ტაიმის მიწურულს ანგარიშის გაზრდა შეეძლოთ. მარჯვენა ფრთიდან ზურაბ ბახტურიძე საჯარიმოში შეიჭრა და ხიდაშელს ჩააწოდა. მისი დარტყმული ბათიაშვილმა მოიგერია, დამატებაზე კი გოგონიამ ვეღარ ივარჯა. მეორე ნახევარი უკეთ დაიწყო „გაგრა“ და 49-ე წუთზე გათანაბრებაც შეეძლო — ვაჟა ქორიძემ უხვირდ დაუბრუნა ბურთი მეკარეს და ბიძინა ყიფიანს გატანა მართებდა, თუმც მის დარტყმას ძალაც აკლდა და სიზუსტეც... ბახტურიძემ მარჯვენა ფრთიდან

ჩააწოდა და კვლავ ღონღაძემ დაასწრო ყველას, თუმცა მისი დარტყმული ამჯერად კარს ასცდა... 59-ე წუთზე ზამორა დათუნაშვილმა შორიდან სცადა გატანა, თუმც ბურთმა ძელს ჩაუქროლა... ღონღაძის დარტყმულს მცველი გადაეღობა, მაგრამ ბურთი ბახტურიძეს მიუვიდა და ახლო მანძილიდან გატანა ვერ მოახერხა, ბურთს მიუცაცუნა... ზაზა ქაჯაიამ ცუდად ჩააწოდა აუტი და ბურთი ღონღაძეს ჩააბარა, რომელმაც ხიდაშელი მეკარეს შეატოვა, თუმცა მან ბათიაშვილს ვერ ააცილა... კობა ფორჯიაშვილის შეგირდები

ბოლო თხუთმეტი წუთი დაცვაში ჩადგნენ, საფეხბურთო ეშმაკობასაც მიმართავდნენ, ყველანაირად ცდილობდნენ დროის გაყვანას, ზოგირას იტყვიებდა და ზოგიც — რას ამან, ბუნებრივია, „გაგრას“ ფეხბურთელები გააღიზიანა, ერთ ასეთ ეპიზოდს მცირე შეხლაც მოჰყვა, თუმც საბედნიეროდ, მარმანწინდელი ცემატყევა აღარ განმეორებულა. „გაგრა“ უკანმოუხედავად უტყევადა, თუმც მათ შეტევებს ფხა აკლდა და საერთოდაც, 90 წუთის განმავლობაში ამკარად ჩანდა, რომ ამ გუნდს რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელი სჭირდება, რათა საწუკვარ მიზანს მიაღწიოს...

# ჯერ ქულაში, მერე ფულში ზესტაფონი თასმა გაამდიდრა



როინ ონიანის „ზესტაფონმა“ ყველაზე მეტი ლარი მოაქუჩა

დამთავრდა საქართველოს ჩემპიონატი და თასის გათამაშება და ახლა უკვე ფულის დათვლა იწყება... მოგესვენებთ, პირველად ეროვნული ჩემპიონატის ისტორიაში, საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგამ მატჩების ტელეჩვენებების უფლებები გაყიდა და სწორედ ამ საქმიდან მიღებულ 200 ათას ლარს ახლა უმაღლესი ლიგის გუნდებს გადაუნაწილებს. პროფლიგისგან სატელევიზიო უფლებები კი, გეცოდინებათ, მედიაკომპანია „კოლხიდას“ ერგო და პროფლიგის შემოსავალიც ყოველწლიურად გაიზრდება — ადრეც ითქვა, რომ სამი სეზონის განმავლობაში უმაღლესი ლიგის გუნდებისთვის საპრემიო თანხა მილიონი ლარი იქნება. რაც შეეხება საქართველოს თასს — ამ გათამაშების სპონსორი, იქნებ შეხსენებაც არ არის საჭირო, „ვაზბეგია“ და სწორედ ამ კომპანიას აქვს დაწესებული საპრემიო ფონდი, რომელიც ნახევარფინალისტებზე, ფინალისტებსა და თასის მფლობელზე ნაწილდება — სულ 50 ათასი ლარი... ჩემპიონატის უმაღლესლიგელთათვის პრემიალური პირველ ათ გუნდზე დამსახურების შესაბამისად დაიყო. დანარჩენი ოთხი გუნდიდან კი სამი გავარდა, ერთმაც გადათამაშებაში ითამაშა და პროფლიგისგან კაპიცი არ ერგოთ. მაშ ასე: „დინამო“ — 40 000 ლარი; „ვიტ ჯორჯია“ — 30 000 ლარი; „ზესტაფონი“ — 25 000 ლარი; „ოლიმპი“ — 22 000 ლარი; „ამერი“ — 20 000 ლარი; „მესხეთი“ — 18 000 ლარი;

„მგლები“ — 16 000 ლარი; „სიონი“ — 12 000 ლარი; „ბორჯომი“ — 10 000 ლარი; „ლოკომოტივი“ — 7 000 ლარი. ჩემპიონატის ბოლოსწინა ტურში „ზესტაფონს“ უკვე გავარდნილ „ბათუმთან“ სტუმრად რომ მოეგო, დიდი შანსი იყო, გუნდი მეორე ადგილზე დამკვიდრებულიყო და სალაროს 5 ათასითაც შეივსებდა. „ზესტაფონი“ ბათუმში ფრეს დასჯერდა და, შესაბამისად, „ვიტ ჯორჯიაზე“ ნაკლები ჰონორარი მიიღო. თასის გათამაშებაში კი ყველაზე მეტად სწორედ „ზესტაფონმა“ იყოჩაღა და საპატული ტიტულთან ერთად, 25 ათასი ლარის დაიმსახურა — 4 000 ნახევარფინალში თამაშისთვის, 10 000 ფინალში გასვლისთვის, 10 ათასი თასის მოგებისთვის. „ვაზბეგის“ 50 000 ლარი თასის მონაწილე ოთხ გუნდზე ასე გადანაწილდა: „ზესტაფონი“ — 25 000 ლარი; „ამერი“ — 15 000 ლარი; „დინამო“ — 5 000 ლარი; „ბორჯომი“ — 5 000 ლარი. ამ სეზონის შედეგებით გამოდის, რომ ყველაზე მეტი „ზესტაფონმა“ გამოიმუშავა — 50 000 ლარი, ჩემპიონმა „დინამომ“ — 45 000, ხოლო „ამერმა“ — 35 000. საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესლიგელთათვის ეს დაახლოებით ერთი თვის საკმარისი თანხა კი არის, მაგრამ თუ გავიხსენებთ, რომ აქამდე ესეც არ იყო, შეგვიძლია, პროფლიგას ერთი პლუსიც დაუწეროთ... მით უმეტეს, როცა საპრემიო ფონდის სეზონიდან სეზონამდე გაზრდას გვპირდებიან.

კობა ინასარიძე

















Table of tennis matches for women at Roland Garros on May 26. Columns include time (13:00), match number (176-223), player names, and scores.

Table of tennis matches for men at Roland Garros on May 26. Columns include time (12:00), match number (224-261), player names, and scores.

I ტაიმიშ უაღვაში

Table with 7 columns: match number, description, and scores for the first set.

I ტაიმი/პირითაღი ღრო

Table with 11 columns: match number, description, and scores for the first set.

Table titled 'რამდენი ბოღი ბავა მატჩში (პირითაღი ღრო)' showing scores for various matches.

Table titled 'ბაიტანს თუ არა ორივე ბუნღი მატჩში ბოღს.' showing scores for various matches.

Table titled 'რომელი ბუნღი ბახსნის მატჩში ანბარიშ' showing scores for various matches.

Table titled 'რომელ ტაიშიშ ბავა მეტი ბოღი' showing scores for various matches.

Table titled 'ფრეს ბარეშე (პირ ღრო)' showing scores for various matches.

Table titled 'ბოღი:წჰჰიღი-10შ კენტი-2 (0:0 ითჰღაბა წჰჰიღაღ)' showing scores for various matches.



„ლიონის“ კაპიტანი ჟუნინიო, აწ უკვე ყოფილი მეკარე გრეგორი კუპე და გამარჯვების გოლის ავტორი სიდნეი გოვეუ



**საფრანგეთის მასის ყველა მფლობელი**

მარსელი	10
პსე	7
სენტ ეტიენი	6
რედ სტარი	5
რასინგი	5
ლილი	5
მონაკო	5
ოსერი	4
ლიონი	4
ბორდო	3
ნიცა	3
ნანტი	3
სტრასბური	3
ათლეტიკი	2
სეტი	2
სტად დე რეიმსი	2
სედანი	2
რენი	2
მეცი	2
სოშო	2
მონპელიე	2
ნანსი	2
პანტენი	1
ფრანსუზი	1
სერკლი	1
კანი	1
რუბე	1
ტულუზი	1
ლე ავრი	1
ბასტია	1
ლორიანი	1

# ლიონური ისტორიის ახალი ფურცელი

**საფრანგეთი**  
**მასის მფლობელი**  
**ლიონი** 10დ.დ. (0:0) პსე  
 10 გოვეუ (102)  
**ლიონი:** კუპე, რეველიერი, ბუმონგი, სკოლარი, გროსო, ტულანანი, კალსტრონი (ბოლბერი 68), ჟუნინიო (კლერკი 17), გოვეუ, ბენზემა, ფრედი (კოტა 73)  
**მწვრთნელი:** ალენ პერენი  
**პსე:** ალონზო, კამარა, არმანი, ბურიონი (სოლუზა 105), სეარა, იუპესი, როტენი, კლემანი, შანტომი (მენდი 83), პაულეტა (ლუინდულა 80), დიანე  
**მწვრთნელი:** პოლ ლე გუენი  
**გაფრთხილება:** კამარა, ტულანანი, სკოლარი, როტენი, კეიტა, მენდი  
**მსაჯე:** კალი  
 79 204 მანქანები

**სიდნეი გოვეუ** მიერ დამატებით დროში გატანილმა გოლმა „ლიონს“ საფრანგეთის მასის მფლობელი და კლუბის ისტორიაში მნიშვნელოვანი ფურცელი ჩაიწერა — ლიონელებს აქამდე ღუბლი არასდროს შეესრულებინათ. მოგახსენებთ, ეს გუნდი საფრანგეთის ჩემპიონიცაა. ისე, ცოტა არ იყოს, გასაკვირია, რომ ბოლო წლების უდავოდ საუკეთესო ფრანგულ კლუბს ღუბლი აქამდე არ შეესრულებინა. და როდის მოიგეს ლიონელებმა თავი ბოლოჯერ? 1973 წელს, ანუ 35 წლის წინ. ახლანდელი გამარჯვებული

ბა კი ჯამში „ლიონის“ მეოთხე სათასო ტრიუმფი გახლდათ. ხოლო ქვეყნის ჩემპიონები, შეგახსენებთ, ლიონელები მიჯრით მემკვიდრე გახდნენ. „ბედნიერები ვართ, გრძელი სეზონი ასეთი შედეგით რომ დავასრულეთ — თქვა ნამატრევეს გოვეუ — თავის მოგება განსაკუთრებული გრძობაა, მით უმეტეს, რომ ამ ჯილდოს ძალიან დიდი ხანი ველოდით“. იმასაც გაგახსენებთ, რომ გოვეუ შეიძლება საჩემპიონო ზეიმის მონაწილეა. ამ ფინალში კი სიდნემ გამარჯვების გოლი ქარიმ ბენზემას პასით გაიტანა.

ისე, დუბლის შესრულება „პარი სენ-ჟერმანსაც“ შეეძლო — დედაქალაქელებს ამ სეზონში ლიგის მასის აქვე მოგებულა. მატჩის მსვლელობაზე სიტყვას არ გაეგარძელებთ, ხოლო წარმოდგენა რომ შეგეკმნათ, დამარცხებული პსე-ს პრეზიდენტის სიმონ თაპარის კომენტარს გააცნობთ: „გაციოვებული ვარ. ექსტრაორდინარულად ვითამაშეთ, ბურთს ვაკონტროლებდით, ბლომად მომენტებიც შეგქმენით და მინც წავაგეთ“. გოვეუს გარდა ამ ფინალს კიდევ ერთი გმირი ჰყავდა — ლიონელთა

მეკარე გრეგორი კუპე. ერთი, რომ ბევრი რთული ბურთი აიღო და თანაც, ეს მისი ბოლო ლიონური მატჩიც გახლდათ. კუპემ „ლიონში“ 10 წელზე მეტი გაატარა და როგორც იქაური მედია ვარაუდობს, კარიერას „ტოტენჰემში“ გააგრძელებს. თავად კუპემ კი თქვა: „ლიონში“ არაერთ დიდ მეკარეს უთამაშია და ვფიქრობ, ცუდი არც მე ვყოფილვარ. დიას, დღეს ცუდად ვითამაშეთ, მაგრამ გავა დრო და ეს აღარავის ეხსოვება, „ლიონის“ გამარჯვება კი ისტორიაში ჩაიწერება“.

კობე კამელია

**მადრიდის** „რეალმა“ „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელის, ალექს ფერგიუსონის მხრიდან ბოლო დროს გახშირებული თავდასხმების მოგერიება გადაწყვიტა. „სარბიელის“ მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ ფერგიუსონი მადრიდის „სამეფო გუნდს“ კრიშტიანუ რონალდუს წართმევის მიზნით, „აკრძალული სატრანსფერო“ ილეთების ხმარებაში სდებს ბრალს.

„მისმა სიტყვებმა ძალიან გამაკვირვა — განაცხადა „რეალის“ პრეზიდენტმა რამონ კალდერონმა ესპანურ „მარკასთან“ საუბრისას — არ მესმის ფერგიუსონის „რეალი“ კრიშტიანუ რონალდუსთან დაკავშირებით უკიდურესად დახვეწილად მოიქცა. ყოველთვის, როდესაც ჩვენ ამ საკითხზე გვეკითხებოდნენ, ვპასუხობდით, რომ რონალდუს „მანჩესტერ იუნაიტედთან“ კონტრაქტი აკავშირებს, ხოლო „იუნაიტედი“ მის გაყიდვას არ აპირებს. აი, სულ ეს იყო“.

ფერგიუსონმა ესპანეთის ჩემპიონს ბოლოს გასულ პარასკევს, უკვე ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებულის რანგში შეუტია.

„ხო არ გგონიათ, რომ ჩვენი საუკეთესო ფეხბურთელების ყიდვა მსოფლიოს საუკეთესო გუნდებს არ სურთ? რასაკვირველია, სურთ, მაგრამ ისინი „რეალივით“ აბსურდულად არ იქცევიან. მადრიდელები ფიქრობენ, რომ მათ ყველას გადარბენა შეუძლიათ, მაგრამ ჩვენთან ეს არ გაუვათ“.

არადა, რონალდუ არცთუ იშვიათად საკუთარი გამოჩენილობით ასხამს ცეცხლზე ნავთს. თუნდაც ბოლო დღეებში, ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვების შემდეგ მან რამდენჯერმე წამოისროლა ფრაზა: „არავინ იცის, მომავალში რა მოხდება“. მადრიდული გაზეთების პირველ გვერდებზე კი ბოლო ორი დღის განმავლობაში სწორედ პორტუგალიელი ვარსკვლავის ფოტო იყო გამოქვეყნებული. კვირას „მარკა“ სულაც წერდა, რომ „რეალი“ რონალდუს შესაძენად 80 მილიონ ევროს გამოდის (120 მილიონი დოლარი) და, თუ გარიგება შედგება, პორტუგალიელი ხუთი წლის განმავლობაში წლიურად 9,5 მილიონ ევროს მიიღებს.

არ არის გამორიცხული, ასეთი კომბინაციის შემთხვევაში მადრიდიდან მანჩესტერში ბრაზილიელი რობინიო გაუშვან.

ბაპუნა კილია

# სად არის რეალობა?

